29/04/2026

MES 1 26 0000502416

შპს ,,საგანმანათლებლო რესურსები''-ს დირექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი

შპს ,,საგანმანათლებლო რესურსები''-ს მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასკოლო ფორმების გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის "ნ^{3}" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 თებერვლის N MES 0 26 0000162422 ბრძანებით დამტკიცებული შპს "საგანმანათლებლო რესურსების" წესდების, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10^{1} მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, ამავე წესის მე-4 მუხლის და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრის 2026 წლის 01 აპრილის N392224 სამსახურებრივი ბარათის და შპს ,,საგანმანათლებლო რესურსები''-ს 2026 წლის 29 აპრილის N500108 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. პროგრამა ,,საჯარო სკოლის მოსწავლეთა სასკოლო ფორმები'' (პროგრამული კოდი: 05 01 02) დაფინანსების ფარგლებში, საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი 1 801 000 (ერთი მილიონ რვაას ერთი ათასი) ცალი სასკოლო ფორმის შესყიდვის უზრუნველსაყოფად, შპს ,,საგანმანათლებლო რესურსები''-ს საფინანსო სამსახურმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით უზრუნველყოს:

ა) გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში, სათანადო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 44 900 000 (ორმოცდაოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარი;

3. დაევალოს შპს ,,საგანმანათლებლო რესურსების'' საქმისწარმოებისა და არქივის მართვის მენეჯერს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი დ.აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო /
შპს საგანმანათლებლო რესურსები
დირექტორი
ყუფარაძე მიხეილ